პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 123 (1293) ○ სამშაბათი, 14 ოქტომბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

მომზადებული შევხვდეთ ზამთარს, ნაყოფიერად გამოვიყენოთ ყოველი დღე საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისთვის

უკვე დასასრულს უახლოვდება ზაფხულის სპორტული სეზონი. ზამთარი ახლოვდება. ახლოვდება მოთხილამურეების, ჰოკეისტების, მოციგურეების ასპარეზობათა პერიოდი. მაგრამ ჩვენი დიადი სამშობლოს სამხრეთ ნაწილში ჯერ კიდევ გრძელდება შეჯიბრებები დარბაზებს გარეთ. სულ მალე თბილისში დაიწყება მიმდინარე წლის (მონაწილეთა მხრივ) ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი შეჯიბრება — საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ამავე დღეებში აქვე გაიმართება საერთაშორისო შეჯიბრება მოტორბოლაში და ა. შ.

ამიტომ უკვე დროა ვილაპარაკოთ თუ რას მივაღწევთ ამ სეზონში და რა ამოცანები დგას ზამთრის სეზონის სპორტული პერიოდის წინაშე.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გაიხარეს რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმა თავიანთ წარგზავნილთა საქმეებით. სამშობლოს საზღვრებს გარეთ და საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებზე საქართველოს სპორტსმენებმა თავი გამოიჩინეს. ეს განსაკუთრებით ითქმის მოსწავლე სპორტსმენებზე, რომლებმაც ვაჟკაცური ბრძოლით სძლიეს ძლიერ მოწინააღმდეგეებს და საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. თავისუფალ ჭიდაობაში (რომლის შესახებ ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი) მოულოდნელი და უოვლად გაუმართლებელი დამარცხება რომ არა, სეზონი ნაყოფიერად მთავრდებოდა. მაგრამ დამარცხება ხშირად ჭკუის სასწავლებელია და ზამთრის პერიოდში, როცა საერთო შედეგების შეჯამებას დაიწყებენ ალბათ ამ მიუტევებელ მარცხსაც გაითვალისწინებენ.

ზამთრის სეზონის, ან მას როგორც ვუწოდებთ, ზამთრის პერიოდის ნაყოფიერად გამოყენებაზე ბევრადაა დამოკიდებული გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში სპორტსმენთა შედეგები. თუ უამინდობისას ჩვენ ვარჯიშში შესვენება გამოვაცხადეთ და მზიანი დარების მოლოდინში განცხრომას მივეცით, საქმე წინ ვერ წავა. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც კი დამთავრდება ზამთარი, დაიწყება საქართველოს სპარტაკიადის წინა ეტაპები, ხოლო შემდეგ კი თვით საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაც. მაშასადამე, ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანა დგას ზამთრის პერიოდში — ერთ წუთსაც არ შევწყვიტოთ წვრთნა, დაუღალავად განვამტკიცოთ და გავზარდოთ მოპოვებული შედეგები.

ეს ამოცანა რომ შევასრულოთ, პირველ რიგში საჭირო იქნება წესრიგში მოვიყვანოთ ბაზები, მოვარჯიშე სპორტსმენებს შევუქმნათ ყოველგვარი პირობა. არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ თბილისში, სტალინის სახელობის სანაპიროზე ახლად აგებულ ტანვარჯიშულ დარბაზს აკლია მზრუნველი ხელი. ბაზების მოუწყობლობაზე, დამხმარე იარაღებზე დიდ საყვედურს გამოთქვამენ ძალოსნები. საჭიროა მივბაძოთ ფეხბურთელებს, რომლებმაც სპორტსმენთა სათანადო ფორმის შენარჩუნების მიზნით ოსტატების მონაწილეობით ორი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება განიზრახეს. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ გვინდა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე წარმატებას მივაღწიოთ, უქმად არ უნდა დავკარგოთ ზამთრის არც ერთი დღე. წვრთნითა და შეჯიბრებებით უნდა იყოს დატვირთული სპარტაკიადის წინა პერიოდი.

ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ იმ ამოცანის შესახებ, რომელთა წარმატებით გადაჭრას საჭიროა საფუძველი ზამთარში ჩაეყაროს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზამთარში საჭიროა აგრეთვე დიდი ყურადღება დაეთმოს ზამთრის სპორტის სახეობებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაშია კულტივირებული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს გადწყვეტილებით 1959 წელს ჩატარდება ზამთრის საკავშირო სპარტაკიადა.

ბაკურიანის მთებზე უკვე ჩამოთოვა. მართალია, ჯერ ცოტა, მაგრამ ეს ხომ დასაწყისია. აქ მრავალი ღონისძიების ჩატარებაა განზრახული და თუ სათანადო ორგანიზაციებმა ახლავე არ ითავეს ბაზების რემონტის დაჩქარება, მერე გვიანი იქნება. ამის გარდა საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი აჭარაში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთსა და რესპუბლიკის სხვა თოვლიან მხარეებში მარტივი სათხილამურო ბაზების ასაგებად. სათხილამურო სეზონი თოვლის გამაგრებისთანავე გაიხსნება ბაკურიანში. კვლავ გათამაშდება ჩვენი გაზეთის სახელობის ჯილდო, მოეწყობა სხვა შეჯიბრებები.

ცა სულ უფრო ხშირად იფარება ტუვიისფერი ღრუბლებით. უკვე იგრძნობა ზამთრის მოახლოვება და მალე იგი ძალაში შევა. ჩვენ სრულ მზადყოფნაში უნდა ვიყოთ.

ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲙᲝᲛᲙᲚᲔᲥᲡᲡ „ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ამას წინათ თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტში შედგა ქალაქის საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა თათბირი, რომელზეც საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ახალი პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ა. დოკვაძემ. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი.

თათბირზე აღნიშნულ იქნა, რომ საწყისი ნორმები 100 მეტრზე რბენაში (15,6 წამი), ყუმბარის ტყორცნაში (25 მეტრი), ბირთვის კვრაში (5 მ 50 სმ) და სიგრძეზე ხტომაში (3 მ 40 სმ) ჭაბუკებისა და მოზრდილებისათვის ძალზე დაბალია. ინტერესი გამოიწვია თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის წარმომადგენელის დ. ფავლენიშვილის წინადადებამ, კომპლექსში წინათ არსებულ ნორმატივის — კროსის — ნაცვლად ტურიზმის შეტანის შესახებ. მანვე გამოთქვა აზრი, რომ სკოლებში ფიზიკური აღზრდის პროგრამას საფუძვლად დაედოს მშთ კომპლექსი და ამ კომპლექსის ნორმების სრული ჩაბარება გახდეს სავალდებულო. შემდეგ ფავლენიშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მშთ მეორე საფეხურის ნორმების ჩამბარებელთათვის სპორტული თანრიგის წინასწარ ჩაბარება სწორი არ იქნებაო.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლის ნორმებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა მასწავლებელმა შ. ბოსტაშვილმა. მისი აზრით ჩამბარებელმა 100 ქულიდან, რომ ერთი ქულა დააგროვოს, საჭირო იქნება ვარჯიშის დროს საშუალოდ 100 ვაზნის დახარჯვა, ვაზნებს კი დოსაფის ორგანიზაციები უფასოდ არ იძლევიან, ამასთან, ნორმების ჩამბარებელთა დიდი რაოდენობა აყენებს ვაზნებზე გაზრდილ მოთხოვნილებებს, რაც სკოლის დირექციების მიერ ბიუჯეტში სპეციალურად გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია.

ცხარე კამათი გამოიწვია ცურვის ნორმების ჩაბარების საკითხმა. თბილისში არსებული საცურაო აუზები ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც საჭიროა იმშთ და მშთ ნორმების ჩაბარებისათვის. თათბირზე გამოითქვა აზრი, გამოინახოს ეფექტური საშუალება ახალგაზრდობის თბილისის ზღვაზე და ლისის ტბაზე მასობრივად გადასაყვანად. თათბირზე გამოსული ამხანაგები შეეხნენ, აგრეთვე გეგმიანობის საკითხს და აღნიშნეს, რომ გეგმების ყოველწლიურმა პროგრესიულმა ზრდამ ხელი შეუწყო მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარებაში ფორმალობას, ამან კი მის გაუფასურებას. გამოითქვა აზრი, რომ მშთ კომპლექსის ჩაბარებაზე გეგმების შაგირ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფიზკულტურის კოლექტივებს (გარდა სასწავლებლებისა, სადაც სავალდებულო იქნება კომპლექსის ჩაბარება) დაუწესდეთ ფიზკულტურის კოლექტივის წევრებთა შეფარდებით ნიშნოსანთა გარკვეული პროცენტი.

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ზერიევმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია მშთ მეორე საფეხურის ნიშნოსანთათვის ძრავის ცოდნა და მართვა, მაგრამ იგი გამოიწვევს ძალიან დიდი მასშტაბით მუშაობას, საჭიროა ამ საქმეს უხელმძღვანელოს დოსაფის ორგანიზაციებმა. თათბირზე გამოითქვა აზრი რომ შემცირდეს მინიმუმამდე მშთ კომპლექსის დოკუმენტაცია ჩასათვლელ ბარათის შემოღებასთან დაკავშირებით.

მიუნჰენის ოლიმპიადა

მიუნჰენში დაიწყო XIII საჰადრაკო ოლიმპიადის ფინალი. ჩემპიონის ოქროს მედლისათვის იბრძვის 12 უძლიერესი გუნდი, რომლებიც კენჭისყრის თანახმად ასე განაწილდნენ: 1. საბჭოთა კავშირი, 2. გფრ, 3. ბულგარეთი, 4. იუგოსლავია, 5. ჩეხოსლოვაკია, 6. ესპანეთი, 7. არგენტინა, 8. ინგლისი, 9. გდრ, 10. ავსტრია, 11. შვეიცარია, 12. აშშ.

პირველ ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა აშშ-ს მოჰადრაკეებს. ამჯერად აშშ-ს გუნდში შედიან გროსმაისტერები რეშევსკი, ბისჰაიერი, ევანსი, როსოლიმო, კეედენი, საერთაშორისო ოსტატი ლომბარდი. უკანასკნელ მომენტში განაცხადში შეყვანილ იქნა აშშ ჩემპიონი ფიშერიც, მაგრამ მას არ უთამაშია ნახევარფინალში. აშშ-ს გუნდი ამჯერად უფრო უკეთესად გამოიყურება, ვიდრე გასულ ოლიმპიადაზე.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: საბჭოთა კავშირი — ბოტვინიკი, სმისლოვი, კერესი, ბრონშტეინი; აშშ — ლომბარდი, ბისჰაიერი, ევანსი, როსოლიმო. პირველ დაფაზე ყაიმით დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონის — ბოტვინიკის შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან ჭაბუკებს შორის, 20 წლის ლომბარდისთან. ასეთივე შედეგით დასრულდა ბისჰაიერ-სმისლოვის, კერეს-ევანსის და როსოლიმო-ბრონშტეინის პარტიები. ამგვარად მატჩის საბოლოო ანგარიშია 2:2. ეს საბჭოთა კავშირის გუნდის პირველი ფრეა XIII ოლიმპიადის თამაშებში.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

17დან 23 ოქტომბრამდე მოსკოვში მოეწყობა ჩვენი ქვეყნის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრები ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თასზე.

თბილისელი ფეხბურთელები გაცხოველებით ემზადებიან ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

12 ოქტომბერს ქ. მახარაძეში თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი საწვრთნელ მატჩში შეხვდა ადგილობრივ ნაკრებს, რომელიც უმთავრესად დაკომპლექტებული იყო მახარაძის „კოლმეურნის“ ფეხბურთელთაგან. თბილისელები ამ მატჩში გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: მ. პირაევი; გ. ჭელიძე, ნ. ძიაშვილი, ა. ორლოვი; გ. ანთაძე, გ. გარიშვილი, ა. პაიჭაძე, ა. თოდრია, მ. ბერძენიშვილი, ვ. პანიუკოვი, გ. არაშიძე.

ანგარიში გაიხსნა თამაშის პირველი ნახევრის 25-ე წუთზე, როცა ა. პაიჭაძის მოწოდებიდან ვ. პანიუკოვმა თავური გარტყმით გაიტანა ბურთი. 13 წუთის შემდეგ ა. თოდრიამ ზუსტად გადააწოდა ბურთი ვ. პანიუკოვს, რომელმაც უძლიერესი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. მალე ა. თოდრიამ დაახლოებით 30 მეტრიდან გაიტანა მესამე ბურთი და გუნდები ამ ანგარიშით წავიდნენ შესვენებაზე.

მეორე ტაიმში მახარაძელები უფრო გააქტიურდნენ. ჯერ ხომერიკმა, ხოლო შემდეგ გავაშელმა ორჯერ აიძულეს თბილისელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მატჩი მოიგო თბილისის ვეტერანთა გუნდმა ანგარიშით 3:2.

რ. ᲙᲐᲕᲨᲐᲫᲔ,
სპორტის ოსტატი.

100-ᲣᲫᲠᲘᲐᲜ ᲨᲐᲨᲨᲘ

4 ოქტომბერს ჰაიგაში მოეწყო მსოფლიო პირველობის საზეიმო გახსნა 100-უჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონ მ. დელორესა (კანადა) და გროსმაისტერ ი. კუპერმანს (საბჭოთა კავშირი) შორის. ამ უკანასკნელმა მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლება მოიპოვა ჰოლანდიაში გმართულ პრეტენდენტთა ტურნირზე.

მსოფლიოში უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად საბჭოთა გროსმაისტერმა უნდა მოაგროვოს 10,5 ქულა, ხოლო მისი შენარჩუნებისათვის დელორეს სჭირდება 10 ქულა.

პირველ პარტიაში კუპერმანმა 64-ე სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე დანებებოდა. მეორე პარტიაში, რომელიც შეეწინგში გაიმართა, საბჭოთა გროსმაისტერმა დებიუტში უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და იძულებული გახდა დაცვაზე გადასულიყო. 55-ე სვლაზე იგი დანებდა. ყაიმით დამთავრდა მესამე, მეოთხე და მეხუთე პარტიები, ამრიგად, 5 ტურის შემდეგ ანგარიშია 2½:2½.

რ. ანანიკიანი ა. ჯოგიშვილი

საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები ტყვიით სროლაში

„კოლმეურნის“ ძალოსანთა წარმატება

საქართველოს 1958 წლის გუნდური პირველობა

რესპუბლიკის ძალოსანთა გუნდურ პირველობაში, რომელიც ამას წინათ ჩატარდა სტალინირში, მონაწილეობდნენ „დინამოს“, „კოლმეურნის“, „ლოკომოტივის“, „განთიადისა“ და „ბურევესტნიკის“ უძლიერესი სპორტსმენები.

როგორც წესი, შეჯიბრება დაიწყეს მჩატე წონის ძალოსნებმა. აქ გამარჯვების შანსები ჰქონდათ რესპუბლიკის ჩემპიონს რ. დათიკაშვილს („კოლმეურნე“), აჭარის ჩემპიონს ა. სურმანიძეს („სპარტაკი“) და სტუდენტთა თამაშების ჩემპიონს ზ. ყიფშიძეს („ბურევესტნიკი“). აჭიმვაში დათიკაშვილმა აჩვენა 92,5 კილოგრამი და სურმანიძეს 2,5, ხოლო ყიფშიძეს 7,5 კილოგრამით გაუსწრო. საქართველოს ჩემპიონი უძლიერესი იყო დანარჩენ ორ მოძრაობაშიც: ატაცში შედეგით 95 კილოგრამი და აკვრაში შედეგით 120 კილოგრამი. დათიკაშვილმა სამჭიდის ჯამში დააგროვა 307,5 კილოგრამი და დაიკავა პირველი ადგილი ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია. სწორად ვერ განსაზღვრა თავისი ძალები ყიფშიძემ და აკვრაში მიიღო 0, რისთვისაც გუნდს დაეწერა 7 საჯარიმო ქულა. ამდენივე ქულა მიიღო „განთიადის“ კოლექტივმა, რადგან მისმა წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა ნ. ფერაძემ ვერ შეინარჩუნა წონა. შეჯიბრებამ პირველ წონითს კატეგორიაში გამოავლინა „კოლმეურნისა“ და „დინამოს“ გუნდების უპირატესობა.

ქვემსუბუქ წონაში პირველობისათვის იბრძოდნენ სპორტის ოსტატები ა. გრიგორიანი („კოლმეურნე“), ხ. ხანუკაშვილი („დინამო“) და პირველთანრიგოსანი ვ. კოლონჩენკო („ბურევესტნიკი“). ჩემპიონატისათვის უკეთ მომზადებული აღმოჩნდა გრიგორიანი, რომელმაც აჭიმა 102,5, ატაცა 95 და აკრა 130 კილოგრამი. სამჭიდის ჯამში 327,5 კილოგრამით იგი პირველ ადგილზე გამოვიდა. გამარჯვებულს 22,5 კილოგრამით ჩამორჩა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ხ. ხანუკაშვილი. „დინამოს“ გუნდისათვის ეს გაუთვალისწინებული მარცხი იყო. მსუბუქ წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმიშკიანმა („დინამო“). მისი ტექნიკური მაჩვენებლები ასეთია: აჭიმვა — 107,5 კგ, ატაცი—107,5 კგ, აკვრა — 147,5 კგ. სამჭიდის ჯამში—360 კგ. დაძაბული ბრძოლა გაიმართა ამ წონითს კატეგორიაში მეორე ადგილისათვის რესპუბლიკის ჩემპიონს შ. კაცობაშვილსა („კოლმეურნე“) და ბურევესტნიკელ კ. ჩალათაშვილს შორის. შეჯიბრება ამ სპორტსმენებმა დაამთავრეს ერთნაირი შედეგით—340 კგ. მეორე ადგილი მიეკუთვნა შ. კაცობაშვილს, რომელიც მოწინააღმდეგეზე ნაკლებს იწონიდა.

ქვესაშუალო წონაში სპარტაკელმა სპორტის ოსტატმა რ. გალოიანმა აჭიმა 122,5 კგ, ატაცა 112,5 კგ და აკრა 140 კგ. სამჭიდის ჯამში 375 კილოგრამით მან პირველი ადგილი გაიღდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა ბურევესტნიკელი დ. მუშკუდიანი (350 კგ.), ხოლო მესამეზე — ნ. კოსტავა („განთიადი“) — 345 კგ. გასაკვირია, რატომ არ გამოიყვანა „ბურევესტნიკმა“ თავის გუნდში სპორტის ოსტატი ტ. წერალოვი, რომელიც ამ შეჯიბრებისათვის საკმაოდ კარგ ფორმაში იმყოფებოდა. მონაწილეობდა რა ჩემპიონატში კონკურსგარეშე, წერალოვმა სამჭიდის ჯამში მოაგროვა 367,5 კგ და 17,5 კილოგრამით გაუსწრო თავის თანაგუნდელ დ. მუშკუდიანს.

საშუალო წონაში პირველი ადგილისათვის იბრძოდნენ ი. ყუბანეიშვილი („კოლმეურნე“), შ. წერეთელი („განთიადი“), ზ. ჩოჩიევი („სპარტაკი“), გ. მიმინოშვილი („ლოკომოტივი“). ყუბანეიშვილმა და ჩოჩიევმა სამჭიდის ჯამში ერთნაირი შედეგი აჩვენეს (380 კგ). უპირატესობა მიეკუთვნა პირველს, რომელიც მეტოქეზე ნაკლებს იწონიდა. შ. წერეთელს წილად ხვდა მესამე ადგილი — 375 კგ. გ. მიმინოშვილმა პირველსავე მოძრაობაში ვერ განსაზღვრა თავისი შესაძლებლობა, მიიღო შეფასება 0 და ფაქტიურად შეწყვიტა ბრძოლა მაღალი ადგილისათვის.

თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა ქვემძიმე წონაში კ. ებრალიძე („დინამო“). მართალია მან დაიკავა პირველი ადგილი (395 კგ). მაგრამ სამჭიდის ჯამში მისგან უკეთეს შედეგს უნდა ველოდოთ. მეორე ადგილი დაიკავა კ. ბაზაძემ („ბურევესტნიკი“)—375 კგ, ხოლო მესამე — „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა კ. ხატიაშვილმა (372,5 კგ). მძიმე წონაში შეჯიბრებას პირველი მოძრაობიდანვე ლიდერობდა 20 წლის მზარდი ძალოსანი მ. მინასიანი („დინამო“). მან აჭიმა 135 კგ, ატაცა 125 კგ, აჭკრა 150 კგ და სამჭიდის ჯამში დააგროვა 410 კგ. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ გ. კოშაძე („კოლმეურნე“) — 395 კგ და თ. რიქამაძე („სპარტაკი“) — 382,5 კგ.

ამრიგად, საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი ძალოსნობაში გახდა „კოლმეურნის“ გუნდი, მეორე ადგილზე გამოვიდნენ „დინამოს“, ხოლო მესამეზე — „სპარტაკის“ წარმომადგენლები.

კ. ზაუტაშვილი,

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.



სურათზე: „კოლმეურნეს“ ძალოსანთა გუნდი.

როგორ ვითარდებაში მიმდინარეობდა ძალოსნობის საერთაშორისო კონგრესი

„სოვეტსკი სპორტი“,

9 ოქტომბერი, 1958 წელი.

სიმძიმეთა აწევისა და ფიზიკური კულტურის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი კონგრესი ჩატარდა სტოკჰოლმში მიმდინარე წლის 16 სექტემბერს, ძალოსნობაში მსოფლიო პირველობის წინ. კონგრესის სხდომები მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ ვითარებაში. ისეთმა საკითხმა, როგორიცაა რუსული ენის აღიარება ფედერაციის ოფიციალურ ენად, გამოიწვია კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა სასტიკი წინააღმდეგობა. არანაკლებ ცხარედ მიმდინარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალოსანთა კავშირის განცხადების განხილვა მათი გუნდის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატში დამოუკიდებლად მონაწილეობის, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფედერაციის განცხადებისა საერთაშორისო ფედერაციასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ.

ხანგრძლივი დავა გაჩაღდა კონგრესის ტექნიკური ბიუროს სხდომებზე, რომლის წევრები მარტო ამ საკითხების წინააღმდეგ როდი გამოდიოდნენ, არამედ ცდილობდნენ სსრ კავშირის, გდრ-ის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განცხადებები არ შეეტანათ კონგრესის დღის წესრიგში

ამ მხრივ ძალზე შორს წავიდა ფედერაციის მდივანი ფრანგი ჟან დამი. დაივიწყა რა ზრდილობის ელემენტალური ნორმები. იგი ცდილობდა მუშტი-კრივი გაემართა კონგრესის წევრებთან. სსრ კავშირის წარმომადგენლის მიმართ მტრული გამოხდომებით მოითხოვდა ეს საკითხები კონგრესს არ განეხილა და მათთვის უბრალოდ ეყარათ კენჭი ფედერაციის ბიუროზე. მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ იქნა ეს საკითხები შეტანილი დღის წესრიგში. სსრ კავშირის ძალოსნობის სექციის განცხადების შესახებ საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ენად რუსული ენის აღიარების გამო, გამოვიდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კ. ვ. ნაზაროვი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა ძალოსნების მონაწილეობამ საერთაშორისო შეჯიბრებებში ხელი შეუწყო სპორტის ამ სახეობის განვითარების საქმეს არა მარტო სსრ კავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. საბჭოთა სპორტსმენების მიერ კლასიკური მოძრაობათა შესრულების პროგრესული ტექნიკა, წვრთნის მეთოდიკა, ძალოსნურ სპორტის მოყვარულთა მისაწვდომი გახდა. სხვადასხვა ენაზე თარგმნილია საბჭოთა ავტორების წიგნები და ა. შ.

ნაზაროვმა განაცხადა, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობათა 11 საერთაშორისო ფედერაციას რუსული ენა მიჩნეული აქვს ოფიციალურ ენად. ამის გამო ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა მოუწოდა კონგრესის დელეგატებს ხმა მისცენ რუსული ენის კონგრესის ოფიციალურ ენად აღიარების წინადადებას საბჭოთა წარმომადგენლის განცხადებას მხარი დაუჭირეს ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა

უცნაური იყო ჟ. დამის გამოსვლა, რომელმაც ისიც კი განაცხადა, რომ „საერთაშორისო ფედერაცია არსებობდა და იარსებებს რუსული ენის გარეშე“. მან თქვა, რომ რუსეთში ძალოსნობის სპორტი განვითარდა გვიან ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომ თითქოს იგი დადებითად არ მოქმედებს სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო მოძრაობაზე. ბ-ნმა ჟ. დამმა ალბათ არ იცის, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში რუსმა სპორტსმენმა ელისეევმა მილანში მოწყობილ შეჯიბრებაზე დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ოქროს მედალი რომ რუსეთში ძალოსნობის სპორტის ფუძემდებელი კრაევსკი ძალოსნობის საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო, რომ სპორტის ამ სახეობაში პირველად ელისეევმა დანერგა შტანგის აწევა „მაკრატელას“ მეთოდით, რომელსაც ამჟამად იყენებენ მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნები. ხოლო საბჭოთა შტანგისტების წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე კი კომენტარებს არ საჭიროებს.

მაგრამ საბჭოთა წინადადება, რომელსაც ხმა მისცა 10 კაცმა 16-ის წინააღმდეგ, კონგრესმა არ მიიღო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალოსნობის კავშირის საკითხის განხილვისას კონგრესის დელეგატთა აზრი წინ აღუდგა ტექნიკური კომისიისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა აზრს. გდრ-ის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე დამოუკიდებლად გამოსვლას მხარი დაუჭირა ოცმა დელეგატმა, ხუთის წინააღმდეგ.

სულ სხვანაირად წარიმართა ჩინეთის ძალოსნობის ფედერაციის განცხადების - გასინჯვა. თავდასაწყისი ნათელი გახდა, რომ საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ეს საკითხი არ გარჩეულიყო კონგრესზე. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ფრანგმა გულმა წაიკითხა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის განცხადების ნაწილი და გამოტოვა ის ადგილი, სადაც აღნიშნულია ჩინეთის რესპუბლიკის ფედერაციიდან გამოსვლის მიზეზები. ესაა საერთაშორისო ფედერაციაში თვითმარქვია ტაივანელთა ყოფნა. შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ნიუბერგმა სცადა შეეწყვიტა ამ საკითხის განხილვა. მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა დაჟინებითი მოთხოვნით პრეზიდენტი იძულებული გახდა შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. პირველი ამ საკითხის შესახებ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. დ. სირჩინი, რომელმაც თავის სიტყვაში ნათლად აღნიშნა ჩინეთის ეროვნული ფედერაციის განცხადების მართებულობა.

რამ აიძულა მრავალმილიონიანი ჩინეთი შემოეტანა განცხადება საერთაშორისო ფედერაციიდან გასვლის შესახებ? განცხადებაში ნათქვამია, რომ მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საერთაშორისო ფედერაციის წევრი უნდა იყოს ერთი ჩინური ორგანიზაცია— ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძალოსნობის ფედერაცია. სამართლიანობა მოითხოვს, რომ საერთაშორისო ფედერაციიდან გარიცხულ იქნან ტაივანის წარმომადგენლები, რადგან ტაივანი ჩინეთის ნაწილია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფედერაციის განცხადება ისე კი არ უნდა განვიხილოთ, თითქოს მას არ სურს იმუშაოს ძალოსნობის სხვა ფედერაციებთან. არამედ იგი ე. წ „ჩინეთის ეროვნულ-მოყვარულთა ათლეტური ფედერაციის“ წარმომადგენელთა საერთაშორისო ფედერაციის წევრად ყოფნის წინააღმდეგია. საბჭოთა წარმომადგენლის სიტყვები ალბათ არ მოეწონათ საერთაშორისო ფედერაციის ზოგიერთ ხელმძღვანელს და მათ შორის პრეზიდენტს, რომელმაც დახურა კონგრესი ისე, რომ აღნიშნული საკითხი არ განუხილავს.

ეჭვი არ არის, რომ ისტორია შეიტანს თავის კანონიერ შესწორებებს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები თავიანთ ღირსეულ ადგილს დაიკავებენ საერთაშორისო ფედერაციაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნიჭიერ სპორტსმენებს უფლება ექნებათ გამოვიდნენ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ამ საკითხების გარდა ტექნიკურმა კომისიამ და კონგრესმა განიხილეს რამდენიმე ეროვნული ფედერაციის წინადადება და მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება. ინდოეთისა და ირანის ქვეყნების წინადადებას უმჩატესი და უმძიმესი წონითი კატეგორიების შემოღების შესახებ უარი ეთქვა. ტექნიკურმა კომისიამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წინადადებები მსოფლიო და ევროპის პირველობებზე მონაწილე ეროვნულ გუნდებში ერთ წონითს კატეგორიაში ორი ატლეტის შეყვანის შესახებ სხვა წონითი კატეგორიის ხარჯზე მიღებულ იქნა აგრეთვე სსრ კავშირის ძალოსნობის სექციის წინადადება ევროპისა და მსოფლიოს პიროველობებში ოლიმპიური გუნდური ჩათვლის შესახებ, სადაც ყოველ წონითს კატეგორიაში დაწესდეს ასეთი ჩათვლა: პირველი ადგილი 7 ქულა, მეორე — 5, მესამე — 4, მეოთხე — 3, მეხუთე — 2 და მეექვსე — 1 ქულა.

ახალი სახელეგი ჩემპიონთა შორის

გორში დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობის ფინალი ქართულ ჰიდაობაში. აქ თავი მოიყარეს გორის, კასპის სამხრეთ ოსეთის, სამტრედიის, ცხაკაიას, ახმეტის, ლაგოდეხის გუნდებმა, რომლებმაც თავიანთ ზონებში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს და პირად ჩათვლაში გამარჯვებულმა მოჭიდავეებმა.

სამწუხაროდ, უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს აჭარისა და აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც შეჯიბრებაზე გუნდები არ წარმოადგინეს.

უმჩატეს წონაში სულ 5 მონაწილე იბრძოდა. პირველი ადგილი გორელმა ა. გერმანიშვილმა დაიკავა. მეორეზეა ს. ბორჩოშვილი (ახმეტა).

მჩატე წონაში 6 მოგებით გამარჯვებული გამოვიდა გამოცდილი მოჭიდავე ლ. კაციაშვილი (კასპი). მეორე ადგილზეა ბ. მაისურაძე (ახმეტა).

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ შეჯიბრებაზე დაირღვა დიდი ხნის არც თუ სახარბიელო „ტრადიცია“: დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან გამოჩნდა სხარტი, მაღალტექნიკური და ძლიერი მოჭიდავე, ცხაკაიელი ნ. ბესელია (ქვემსუბუქი წონა), რომელმაც გორელი მაყურებლის საერთო მოწონება დაიმსახურა. ბესელიამ ყველა შეხვედრა მოიგო, უკან ჩამოიტოვა ისეთი ძლიერი და ნაცადი მოჭიდავეები, როგორიც არიან გ. ნავროზაშვილი (კასპი), გ. ეგნატაშვილი (გორი), ვ. ჩიკვილაძე (ახმეტა) და ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი ამ წონაში დაიკავა ასევე უცნობმა ახალგაზრდა მოჭიდავემ — მ. ტრანკაძემ (სამხრეთ ოსეთი).

გორელ მოჭიდავეთაგან აღსანიშნავია კარგი მომავლის მქონე ჭაბუკი ა. ბაზერაშვილი (მსუბუქი წონა), რომელიც თუმცა ამ შეჯიბრებაზე მეორე ადგილზე გამოვიდა, მაგრამ საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. პირველი ადგილი წილად ხვდა ა. ოდიშვილს (გარეუბანი).

ქვესაშუალო წონაში საუკეთესონი იყვნენ გ. გელეშვილი (გარეუბანი), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა და ა. ილურიძე (გორი) მეორე ადგილი.

საშუალო წონაში დიდი ღონისა და ფიცხი მოჭიდავე იზრდება სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელის გ. გაბარაევის სახით, რომელმაც ხუთი სუფთა გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ ერთი წაგო ქულებით პირველ ადგილზე გამოსულ ს. მჭედლიძესთან (ლაგოდეხი).

ქვემძიმე წონაში მეტოქეთა ყველაზე ძლიერი და საინტერესო შემადგენლობა მოგროვდა. აქ იყო გამოცდილი ბ. თედეევი (ახმეტა), შ. ჩიკვაიძე (ცხაკაია) და ძლიერი ახალგაზრდა მოჭიდავე ა. ქიბროწაშვილი (მცხეთა). ამ უკანასკნელმა 55 წამში მოუგო მესამე ადგილზე გამოსულ ბ. თედეევს და ქულებით—შ. ჩიკვაიძეს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მასვე გადაეცა სამახსოვრო თასი კარგი ტექნიკური ჰიდაობისათვის.

მძიმე წონაში ქების ღირსია ახალგაზრდა, მზარდი კასპელი მოჭიდავე გ. მარიამიძე. მან ხუთი გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილი დაიკავა. დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის სტუდენტი დ. ზითაშვილი [illegible] ადგილზე აღმოჩნდა.

გუნდურ ჩათვლაში [illegible] ქულით პირველი ადგილი დაიკავეს გორის მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზეა ახმეტის (27), ხოლო მესამეზე — კასპის რაიონის მოჭიდავეები (27,5 ქულა).

ი. ტერუნაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული გორელ მოჭიდავეთა გუნდი.

ფოტო შ. კუკულავასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატის პროგრამით

ტანვარჯიშულ იარაღებზე ოსტატის ნორმით მონაწილეობდა 22 სპორტსმენი. მაღალკვალიფიციურ ტანმოვარჯიშეთა ასეთი დიდი რაოდენობა წელს პირველად გამოდიოდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებაზე არ გამოსულან რესპუბლიკის წამყვანი ტანმოვარჯიშეები რ. და გ. შარაბიძეები, ო. ქორქია და მ. ჯუღელი, იგი საკმაოდ საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. ამაზე ნათლად მეტყველებს გამარჯვებულთა, განსაკუთრებით ოსტატ ქალთა შედეგები. აქ ბოლო იარაღამდე ძნელი იყო ჩემპიონის გამორკვევა. ქალთა შორის საბოლოოდ უძლიერესი აღმოჩნდა მ. ცნობილაძე, რომელმაც 73,6 ქულა დააგროვა ა. მარიამიძემ ზუსტად ამდენივე ქულა მიიღო, მაგრამ მან ერთ-ერთ იარაღზე ვარჯიშის შესრულებას ერთით მეტი ცდა მოანდომა. გამარჯვებულებს მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩა მ. ნინოშვილი. წარმატებით გამოვიდა 16 წლის ქუთაისელი გოგონა ე. ბენიძე, რომელმაც 71,3 ქულა დააგროვა და მხოლოდ ბჯენით ხტომაში წარუმატებლობამ შეუშალა ხელი სპორტის ოსტატის ნორმა ეჩვენებინა.

შეჯიბრებისათვის სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა არც ერთი ვაჟი ოსტატთა პროგრამაში, და ეს მაშინ, როცა საქართველოს პირველობა კარზეა მომდგარი. განსაკუთრებით სუსტი იყო მათ მიერ შესრულებული ვარჯიშები ღერძზე. საერთო ჯამში გამარჯვება ნ. მაკალათიას ერგო — 105,85 ქულა. მას მცირე განსხვავებით ჩამორჩა ა. ნარიმანოვი. მესამე ადგილზეა რ. პერტენავა — 103,05 ქულა.

გუნდური პირველობა მოიპოვა მე-4 რაისაბჭოს ტანმოვარჯიშეთა კოლექტივმა. მეორე ადგილზეა აჭარის (767,90 ქულა), ხოლო მესამეზე — ქუთაისის სპორტსმენთა გუნდი.

გ. სამსონაძე

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „შახტიორი“ (შახჩი)

შახტი. 12 ოქტომბერი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შახტიორი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

სურათზე: სტავროპოლელი (წინა პლანზე) ეკიზაიშვილი „ლოკომოტივის“ მცველებთან მაღალი ბურთისათვის ბრძოლის დროს.

„ვისმუტმა“

ევროპის ჩემპიონების მიმდინარე საფეხბურთო ტურნირში მეთექვსმეტედ ფინალში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს „ვისმუტი“ (გდრ) და „პეტროლული“ (პლოეშტი). ორივე მატჩი დამთავრდა ფრედ, ბურთების საერთო შეფარდებით 4:4. დებულების თანახმად, გუნდები მესამედ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ნეიტრალურ მინდორზე.

ეს მატჩი შედგა კიევში 12 ოქტომბერს. გერმანელმა ფეხბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. „ვისმუტი“ გავიდა გათამაშების მერვედ ფინალში.

შესუსტებული შემადგენლობით

☆

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)-„სპარტაკი“ (სტავროპოლი) — 4:3.

„სპარტაკი“: ემაევი; გულიაშვილი, ჩუნოსოვი, შვირევი; გოვორუნი, ეკიზაიშვილი. კნიაზევი, ხუსტუნდინოვი, ბელიაევი, რიბაკოვი, პოლევოი.

„ლოკომოტივი“: ურუშაძე; კახნიაშვილი, ანთიძე, ცხოვრებოვი; დავარაშვილი, პეტრიაშვილი; კილაძე, სორდია, კახიანი, გომელაური, ზარდანია.

მსაჯი ვ. ბოსიხი (მოსკოვი).

☆

ქუთაისის „ლოკომოტივი“ ბოლო ხანებში საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით თამაშობს. გუნდს გამოაკლდნენ წამყვანი ფეხბურთელები ლ. ქორდანია, ი. დათუნაშვილი, ვ. კვახაძე. გუნდისათვის ეს, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია.

აღნიშნული თამაში ძლიერ ქარში მიმდინარეობდა, რაც საგრძნობლად უშლიდა ხელს ორივე გუნდს.

პირველი გოლი გატანილ იქნა ქუთაისელთა კარში კახნიაშვილის აშკარა შეცდომის შედეგად. მან ზედ ფეხზე „მოარგო“ ბურთი კნიაზევს და ამ უკანასკნელმა კარში გაგზავნა იგი — 1:0.

„ლოკომოტივმა“ სულ მალე გაათანაბრა ანგარიში. ჯერ კახიანმა გაიტანა ბურთი ზარდანიას გადაცემიდან, ხოლო შემდეგ კომბინაცია სორდია-კახიანი-გომელაური მეორე გოლით დამთავრდა — 2:1.

შესვენების შემდეგ აქტიურად ჩაება ბრძოლაში მასპინძელთა მარცხენა გარემარბი ზარდანია. მის მიერ დაწყებული ერთ-ერთი კომბინაცია გააგრძელეს სორდიამ, კახიანმა და ზუსტი დარტყმით დაამთავრა კილაძემ — 3:1. ცოტა ხანში ზარდანიას დარტყმის შედეგად ანგარიში გაიზარდა 4:1-მდე ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ამის შემდეგ ლოკომოტიველებმა თამაშის ტემპი შეანელეს. დაცვაში დაშვებულ იქნა რამდენიმე შეცდომა და რიბაკოვმა და ბელიაევმა შეძლეს ორი საპასუხო ბურთის გატანა.

თამაში დამთავრდა ქუთაისის „ლოკომოტივის“ გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

ლ. ფაჩუაშვილი

უსარგებლო ფეხბურთი

☆

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 12 ოქტომბერი.

სკვო (თბილისი) — „უუბანი“ (კრასნოდარი) — 0:2 (0:0).

„უუბანი“: ასადულაევი; ნიკიტინი, გალიანოვი, ბასოვი; ბულიგინი, იგნატოვი; შადჩინი, მანგასაროვი, კოსტილევი, ევსიუკოვი, გორინი.

სკვო: ვ. ივანოვი; ჭანჭალეიშვილი, გაიხარაშვილი, სერგა; მიროშნიკოვი, ხელაძე; მიქაძე. ნორაკიძე, კურტანიძე, გორეშნევი, გვიმრაძე (ა. ივანოვი).

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

☆

თამაში დაიწყო სტუმრების ენერგიული იერიშით. შეტევის დასამთავრებლად ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ თავიანთ თავდასხმის ცენტრალურ სამეულს, რომელსაც განუწყვეტლივ აწვდიდნენ ბურთებს, როგორც გარემარბები, ისე ნახევარმცველები. მართალია, თამაშის პირველ ნახევარში ბურთი არ ყოფილა გატანილი, მაგრამ სახიფათო მომენტებს თბილისელთა კართან სწორედ „უუბანის“ ცენტრალური თავდამსხმელი და შუამარბები ქმნიდნენ. მინდვრის შუაგულში ბევრს და ნაყოფიერად მუშაობდნენ ბულიგინი და იგნატოვი, დაცვაში კრასნოდარელები მჭიდროდ იყვანენ მოწინააღმდეგეებს და კარგად აქვთ დამუშავებული ურთიერთდაზღვევა.

მაყურებლები მეტს მოელოდნენ არმიელებისაგან ამ საპასუხისმგებლო მატჩში, მაგრამ გუნდმა ვერ აჩვენა ნამდვილი საბრძოლო თამაში. სუსტი იყო თავდასხმა, სადაც ერთიდაიგივე ფუნქციას — ბურთის განაწილებას, ასრულებდა ორი მოთამაშე: ნორაკიძე და უკან დაწეული კურტანიძე. გორეშნევი ამ დღეს მეტისმეტად პასიური იყო და არც ცდილა ებრძოლა ბურთის მისაღებად ან გასულიყო თავისუფალ ადგილზე, გვიმრაძე არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა „უუბანის“ დაცვისათვის, ვინაიდან იგი სისტემატურად აგებდა ბრძოლას მოწინააღმდეგე მცველთან, სხვა გზა კი თამაშის გაუმჯობესებისათვის მან ვერაფრით ვერ მოძებნა.

თბილისის არმიელთა გუნდში არის მაღალი ტექნიკის მქონე რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც ჩინებულად ფლობენ ბურთს, მაგრამ ეს მაღალი ტექნიკა ზოგჯერ უსარგებლოა ხოლმე კოლექტივისათვის. მაგალითად, კურტანიძე ხშირად ცდილობს გააკეთოს რაიმე „ბრაზილიური“ ტრიუკი, მაგრამ სანამ იგი ამ ილეთებს ასრულებს, მისი ყველა პარტნიორი დაკეტილია, ტემპი ნელდება და ბურთი საბოლოოდ მოწინააღმდეგეს უვარდება ხელთ. არ ეპატიება შეცდომები ისეთ კვალიფიციურ მოთამაშეს, როგორიცაა ჭანჭალეიშვილი, რომელმაც რამდენიმეჯერ ისე მიაწოდა ბურთი თავის მეკარეს, რომ ივანოვს ნამდვილი ბრძოლა დაჭირდა მის ასაღებად, ხოლო ერთი ასეთი მოწოდება საბედისწეროც კი გამოდგა კარისათვის.

ორივე ბურთი არმიელთა კარში გატანილ იქნა მეორე ნახევარში. ჯერ, მე-9 წუთზე „უუბანის“ თავდამსხმელებმა თავით გაითამაშეს ბურთი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და ღიად დარჩენილმა შადჩინმა სულ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში, ხოლო 34-ე წუთზე ჭანჭალეიშვილმა არაზუსტად ითამაშა თავის მეკარესთან და კოსტილევმა განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „უუბანმა“.

რ. ჟორიძე

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისათვის						
	თ.	მ.	ფ	წ	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	22	14	3	5	44:25	31
„სპარტაკი“	21	12	6	3	52:26	30
ცსკ მო	22	9	9	4	40:25	27
„ზენიტი“	21	8	8	5	39:32	24
„ლოკომოტივი“	20	8	6	6	38:29	22
„ტორპედო“	22	7	8	7	51:42	22
„დინამო“ კ.	20	6	9	5	34:28	21
„შახტიორი“	20	9	3	8	22:28	21
„დინამო“ თბ.	21	8	2	11	33:54	18
„ცრ. სოვეტ.“	21	5	6	10	21:29	16
„ბოლდოვა“	20	3	8	9	23:38	14
„ადმირალტ.“	22	3	0	19	22:63	6

* * *

⊙ **კიევი. 11 ოქტომბერი.** ადგილობრივი „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.



სოლიდარობის ნიშნით

ახლოვდებოდა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები. დარჩენილი იყო სულ 3 შეხვედრა — ორი ნახევარფინალური და შემდეგ ფინალი. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და შვეიცის ნაკრების მატჩის წინა დღეს სტოკჰოლმის ერთ-ერთი გაზეთი იუწყებოდა: „გამარჯვების

გაზეთ „ორიაკის“ ჯილდოზე ფოთში ჩატარებული შეჯიბრების მონაწილე ექვს მოხალმელიანი ნავის ეკიპაჟი დისტანციაზე.

ფოტო რ. ღვამიჩავასი.

შემთხვევაში მეკარე სვენსონი და თავდამსხმელი ლიდჰოლმი გაიპარსავენ თავს“.

თურმე ზემოაღნიშნული მოთამაშეები დანიძლავებიან ამის შესახებ ნაკრები გუნდის უფროსს ჰალენს, რომელსაც მატჩის მოგების მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჰქონდა. შეხვედრა მოიგეს შვედებმა. სვენსონმა და ლიდჰოლმმა შეასრულეს პირობა. გამარჯვებით აღფრთოვანებულმა გუნდის უფროსმა სოლიდარობა გამოიჩინა თავისი მოთამაშეების მიმართ და მანაც გაიპარსა თავი. ფინალურ შეხვედრაში შვედი მეკარისა და თავდამსხმელის ცნობა გაუჭირდათ არა მარტო მოწინააღმდეგეებს, არამედ მრავალრიცხოვან მაყურებელსაც.

✦

კიდევ ერთი პრიზი

ერთ-ერთმა შვედურმა გაზეთმა, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამოაცხადა კონკურსი ჯილდოზე. პრიზი უნდა გადაცემოდა თავდამსხმელს, რომელიც შეჯიბრების პროცესში ყველაზე ეფექტურად და ლაკონიური ფინტით გაიტანდა გოლს.

ხმათა ერთგვარ ეკვივალენტობით პრიზი მიეკუთვნა ბრაზილიელ თავდამსხმელს. 17 წლის ჰელეს, ფინტისათვის, რომელიც მან გააკეთა ფინალური მატჩის უკანასკნელ წამზე. მოწინააღმდეგის კარისაგან 8 მეტრის დაშორებით ჰელემ ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე მოატყუა ორი „გაფთრებული“ მცველი. და როდესაც ისინი მიწაზე ეყარნენ, ფეხით აიგდო ბურთი თავზე და გაგზავნა იგი კარისაკენ.

✦

ვავაც გაიყიდა

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ეურნალ „სტადიონში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც იტყობინება, რომ ესპანეთის კლუბმა „ატლეტიკო მადრიდმა“ 6 მილიონ პეზეტად იყიდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელ ედვალო იზიდო ნეტო (ვავა).

მსოფლიო რეკორდები

✦

ი. გალაში—1,82

მიმდინარე წლის მძლეოსნურ სეზონში რუმინელმა სპორტსმენმა ქალმა იოლანდა ბალაშმა ზედიზედ სამჯერ განაახლა მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში. მან თანმიმდევრულად დასძლია 1 მ 78 სმ; 1 მ 80 სმ და 1 მ 81 სმ.

ამ დღეებში ბუქარესტის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარეობდა რუმინეთის გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. 30 ათასი მაყურებელი მოწმე იყო იმისა, თუ როგორ დაამყარა იოლანდა ბალაშმა ახალი მსოფლიო რეკორდი. პირველ ცდაში ბალაშმა დაძლია 1 მ 60 სმ, შემდეგ 1მ 70 სმ, 1 მ 75 სმ, 1 მ 80 სმ.

ი. ბალაშმა მოითხოვა 1 მ 82 სმ, სიმაღლე და პირველივე ცდაზე დაძლია იგი. ამრიგად, ახალი მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ქალთათვის უდრის 1 მეტრსა და 82 სანტიმეტრს.

✦

ჰ. დისნეი — 1.06.4

ცნობილმა ამერიკელმა პროფესიონალმა ველოსიპედისტმა ჯეკ დისნეიმ ამას წინათ დაამყარა ახალი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი გიტში 1 კილომეტრზე ადგილიდან. დისნეიმ აჩვენა ფენომენალური შედეგი — 1 წუთი 06,4 წამი.

ამ რეკორდის დამყარებამდე ველოსპორტის სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ მომავალი სარეკორდო ზღვარი 1 წუთსა და 07,5 წამზე უკეთესი არ იქნებოდა.

სიმფეროპოლი. უკრაინის პირადგუნდური პირველობა მძლეოსნობაში.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სპორტის ოსტატი ვ. გოლუბნიჩი (სუმიდან), რომელმაც 20 კმ. დისტანცია სპორტულ სიარულში დაფარა 1 საათსა 27 წუთსა და 5 წამში ეს შედეგი 53,2 წამით უკეთესია საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო ოფიციალურ რეკორდებზე.

ფოტო გ. ბოროდინისა. (აკადემიის ფოტოქრონიკა).

შეხვედრა თუ არა რევანში

ინგლისელი ფეხბურთელები ემზადებიან

✦

1945 წლის გვიან შემოდგომაზე მოსკოვის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ვიზიტით ეწვია ინგლისს და 4 მატჩი ჩაატარა ლონდონის, კარდიფისა და გლაზგოს პროფესიონალური ლიგის გუნდებთან. დინამოელებმა შაშინ 2 მატჩი მოიგეს და 2 ფრედ დაამთავრეს ბურთების საერთო შეფარდებით 19:9 თავიანთ სასარგებლოდ.

ეს იყო ტრადიციის დასაწყისი სსრ კავშირსა და ინგლისის საფეხბურთო ურთიერთობაში. მას შემდეგ ამ ორი ქვეყნის საკლუბო გუნდები მრავალჯერ შეხვედრიან ერთმანეთს მწვანე მინდორზე. მოგვყავს ყველა მატჩების ტექნიკური ანგარიშები:

13. XI. 45 „ჩელსი“-„დინამო (მ) 3:3
17. XI. 45 „კარდიფ-სიტი“-„დინამო“ (მ) 1:10
21. XI. 45 „არსენალი“-„დინამო“ (მ) 3:4
28. XI. 45 „გლაზგო-რეინჯერსი“-„დინამო“ (მ) 2.2
5. X. 54 „დინამო“ (მ)-„არსენალი“ 5:0
9. XI. 54 „არსენალი“-„სპარტაკი“ (მ) 1:2
16. XI. 54 „ვულვერჰემპტონ-უონდერერსი“-„სპარტაკი“ (მ) 4:0
7. VIII. 55 „სპარტაკი“ (მ)-„ვულვერჰემპტონ-ტ ონდერერსი“ 3.0
12. VIII. 55 „დინამო“ (მ)-„ვულვერჰემპტონ-უონდერერსი“ 3:2
9. XI. 55 „ვულვერჰემპტონ-უონდერერსი“-„დინამო“ (მ) 2:1
14. XI. 55 „სანდერლენდი“-„დინამო“ (მ) 0:1
2. VI. 57 „ზენიტი“ (ლ)-„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 1:1
7. VI. 57 „დინამო“ (თბ)-„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 0:3
12. VI. 57 ცსკ მო-„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 2:4
29. X. 57 „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“-ცსკ მო 6:5
4. XI. 57 „ვულვერჰემპტონ-უონდერერსი“-ცსკ მო 3:1
7. XI. 57 „ჩელსი“-ცსკ მო 1:4

შენიშვნა: მატჩები მიმდინარეობდა პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

საკლუბო გუნდების შეხვედრათა შემდეგ შედგა ნაკრები გუნდების მატჩებიც. მიმდინარე წლის 18 მაისს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობაზე ინგლისისა და საბჭოთა კავშირის გუნდები მოხვდნენ ერთ ქვეჯგუფში. მატჩი მათ შორის დამთავრდა ფრედ — 2:2. მეოთხედფინალში გასასვლელად დაინიშნა განმეორებითი თამაში, რომელიც მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

ამ მოკლე ხანში ლონდონში უნდა შედგეს მეორე ამხანაგური შეხვედრა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის.

ინგლისელი ფეხბურთელები სერიოზულად ემზადებიან ამ მატჩისათვის და აქვთ რევანშის აღების იმედი. ამ დღეებში ინგლისის ნაკრები საერთაშორისო მატჩში შეხვდა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს. ინგლისელთა შემადგენლობაში პირველად თამაშობდა ახალგაზრდა ნახევარმცველი მაკგინესი („მანჩესტერ იუნაიტედი“), ხოლო ცენტრალური თავდამსხმელის პოსტზე კევანის ნაცვლად თამაშობდა ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“).

ინგლისელები მინდორზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: მაკდონალდი; ჰოუ, ბენსკი; კლეიტონი, რაიტი, მაკგინესი; ბრედბრუკი, ბროდბენტი, ჩარლტონი, ჰეინსი, ფინეი. მოსკოვის მატჩის შემადგენლობიდან არ იყვნენ ე. კლემპი, უ. სლეიტერი, ბ. დუგლასი, რ. რობსონი და დ. კევანი. არ გამართლდა გაზეთების ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისელთა ცნობილი მარცხენა გარემარბი ტომას ფინეი აღარ ითამაშებს ფეხბურთს მუხლის სერიოზული ტრავმის გამო. ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისელები ამ შემადგენლობას შეინარჩუნებენ სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრისათვის. მოსალოდნელია მხოლოდ დ. კევანის დაბრუნება თავდასხმის ცენტრში და მაშინ რ. ჩარლტონი ითამაშებს მარჯვენა შუამარბის ადგილზე.

მძღეოსნური კროსი

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ქუთაისის საქალაქო საბჭომ ამას წინათ ჩაატარა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მძლეოსნური კროსის პირველი ტური.

კროსში მონაწილეობა მიიღო 6 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის 92 სპორტსმენმა, რომელთა შორის 55 ქალი იყო.

კარგი შედეგები აჩვენეს ვაჟთა შორის შ. ჩოგოვაძემ, რ. ჩაჩავამ, ს. ვადაჭკორიამ, დ. შენგელიამ, რ. შალამბერიძემ; ქალთა შორის — ქ. კიკვიძემ, ც. ხურცილავამ, თ. მესხმა, ლ. ჩაკვეტაძემ და სხვ.

მძლეოსნურ კროსში თავი ისახელეს არტელ „ახალი ცხოვრების“ ვაჟთა და არტელ „მრეწველის“ ქალთა გუნდებმა.

ი. ბუხაიძე

✦

გაიმარჯვეს მუხურელებმა

ტყიბულელმა ახალგაზრდებმა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნეს თავიანთი კროსი მძლეოსნობაში. გოგონათა შორის 500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ქალაქის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. ჯიშიაშვილმა. გუნდურ ჩათვლაში

✦

ეს ღონისძიებები მიეძღვნა სახელოვანი კომკავშირის მე-40 წლისთავს

✦

გაიმარჯვეს რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ვაჟთა 1000-მეტრიან დისტანციაზე ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ა. ზამკოვი (რუსული საშუალო სკოლა), რომელმაც მცირე მანძილით მიასწრო ხრესილელ დ. არჯევანიძესა და ლენინის სახელობის შახტის საშუალო სკოლის მოსწავლე რ. ცირეკიძეს. ამ სახეობაში გუნდური პირველობა მოიპოვეს ლენინის სახელობის შახტის სკოლის მოსწავლეებმა.

ქალთა ორკილომეტრიან დისტანციაზე გუნდის გამოყვანა შეძლო მხოლოდ მუხურის საშუალო სკოლამ. პირად პირველობაზე გაიმარჯვა შ. კირკიტაძემ.

საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს მუხურელებმა.

ნ. ჯინჯიხაძე

მოშაშეთა ტურნირი

ამ დღეებში ჩატარდა კასპის რაიონის მოშაშეთა ტურნირი 1958 წლის პირველობაზე. შეჯიბრებაში, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის 40 წლისთავს, მონაწილეობდა 15 სპორტსმენი. 13 ქულით პირველი ადგილი დაიკავა პირველთანრიგოსანმა ვ. კანდელაკმა.

ვ. მგელაძე

✦

„ვოქაპის“ პრიზზე

ორ დღეს გრძელდებოდა ხობის რაიონის უფროს პიონერხელმძღვანელთა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება ჟურნალ „ვოქატის“ პრიზზე მიძღვნილი კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი. სტარტზე გამოვიდა რაიონის საშუალო და შვიდწლიანი სკოლების 17 პიონერხელმძღვანელი. პროგრამაში იყო რბენა 100 და 400 მეტრზე, ხტომები სიგრძესა და სიმაღლეზე და ბირთვის კვრა. ხეთის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელმა ნ. ბუკიამ დააგროვა 210 ქულა და პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზეა ზემო ქვალონელი პიონერხელმძღვანელი ზ. ბერაია, ქარიატის შვიდწლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ლ. ტაბაღუა გამოვიდა მესამე ადგილზე.

ვ. დანელია

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის 3 89 62, მდივნისა და განყოფილებების — 3 90 34.

3 **საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.** **უე 06164**